

**მთიანი აჭარის ტყის ლანდშაფტების სივრცე-დროითი დინამიკის შეფასება და
პილოტ-პროექტირება (გის პროგრამით)**

თამთა მჟავანაძე

ელ-ფოსტა: tamta.mzhavanadze950@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

3 ილია ჭავჭავაძის გამზირი

ტყე განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ადამიანთა საზოგადოებისათვის სასიცოცხლო რესურსის მიწოდებასა და ისეთი დარგების მდგრად განვითარებაში, როგორც ტურიზმი, ენერჯეტიკა და სოფლის მეურნეობაა, ძალიან მნიშვნელოვანია. უდიდესი მნიშვნელობისაა მთიანი აჭარის ტყის ლანდშაფტები, რომლებიც თავიანთი მრავალფეროვნებითა და უნიკალურობით გამოირჩევიან. ისინი საჭიროებენ მათი ზრუნვისათვის, დარგის სპეციალისტების ჩართულობასა და მათ მიერ სისტემური მონიტორინგის განხორციელებას. ამიტომ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების ჩართვა მონიტორინგის საქმეში, რომელიც საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი მათემატიკური, სივრცული თუ სხვა მეთოდების განხორციელებას დედამიწის ზედაპირზე. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საზოგადოების გარკვეული ნაწილი სკეპტიკურად უყურებს ტექნოლოგიების გამოყენებას სამეცნიერო სფეროში. ჩვენ შევეცადეთ, რომ ეს ეჭვები გაგვექარწყლებინა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით, რომელიც გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების უფასო პროგრამული უზრუნველყოფითა და სატელიტური გამოსახულების დამუშავებით განვახორციელეთ. კლიმატის ცვლილების ფონზე, გაძლიერებულმა ექსტრემალურმა სტიქიურმა პროცესებმა, ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ და სხვა ფაქტორებმა გავლენა იქონიეს ტყის ლანდშაფტებზე. ამიტომაც ამ პრობლემური ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენი საკვლევი ობიექტის ანუ მთიანი აჭარის ტყის ლანდშაფტების სატელიტური ფოტოების დამუშავებით, განვსაზღვრეთ მათი სივრცე-დროითი დინამიკა და მოვამზადეთ მთიანი აჭარის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის საპილოტე პროექტი.